საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ საქმიანობის სფერო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეთავის თანახმად განეკუთვნება „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია“-ს ასპინძაში (საკადასტრო კოდი N60.01.31.058) არსებული ავტოგასამართი სადგურის „ასპინძა“-ს ექსპლუატაცია. GPS კოორდინატებია X:4814295,032; Y:5097340,739).

2021 წელს იგეგმება აღნიშნულ ავტოგასამართ სადგურზე ტექნოლოგიური ცვლილება, ასევე გაიზრდება საწვავის რეალიზაციები. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯია“ წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და ველით თქვენს გადაწყვეტილებას.

ავტოგასამართი სადგური დაშორებულია უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 100 მეტრით. ობიექტი არ მდებარეობს ახლოს ჭარბტენიან, დაცულ, ტყით მჭიდრო დაფარულ ტერიტორიასთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ან და სხვა მნიშვნელოვან ობიექტთან.

მიწის ნაკვეთის ფართობზე განთავსებულია ოფის- მარკეტის შენობა, მარიგებელი სვეტების ფარდული, თხევადი საწვავით ავტომანქანების

გამართვისათვის გათვალისწინებული, ბეტონის სარკოფაგში მოთავსებული 4 ჰორიზონტალური სტაციონალური რეზერვუარი.

რეზერვუარების საპროექტო მოცულობა - 46.5 მ3:

აქედან ბენზინის საწვავის რეზერვუარი 3 ც,

მოცულობა: 1- 5 მ3, 2 -10 მ3, 3 – 12.8 მ3.

დიზელის საწვავის რეზერვუარები 1 ც, მოცულობა:

1- 18.7 მ3.

რეზერვუარებზე მოსაწყობი სასუნთქი სარქველების სიმაღლე: h – 1,5 მ. დიამეტრი: D – 0,62 მ.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებული იქნება ბენზინის და დიზელის რეალიზაციისათვის.

ავტოგასამართ სადგურზე რეალიზაციისათვის საწვავის მიღება მოხდება, კომპანიის კუთვნილი ავტოცისტერნებით და გადატანილი იქნება ზემოთაღნიშნულ მიწისქვეშა რეზერვუარებში, საიდანაც ტექნოლოგიური მილსადენით მიწოდებული იქნება მარიგებელ სვეტებზე, საიდანაც მოხდება ავტომანქანების საწვავით გამართვა.

მარიგებელი სვეტები - 2 ცალი, ორმხრივი.

ავტოგასამართი სადგურისათვის დაგეგმილი (საპროექტო), წლიური რეალიზაცია შეადგენს:

ბენზინი - 680 მ3 და დიზელი 520 მ3.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება საწარმოს ძირითად უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფეროში, რომლის შესახებ ინფორმაცია წარედგინება შესაბამის დეპარტამენტს, თუმცა აღსანიშნავია, რომ იქნება ერთ-ერთი ბენზინისა და დიზელის სვეტ-წერ ტილი, 3 ბენზინის რეზერვუარის სასუნთქი სარქველი და 1 დიზელის რეზერვუარის სასუნთქი სარქველი. წარმოქმნილ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. მათი წარმოქმნის მაქსიმალური ინტენსივობა

დაფიქსირდება ავტოცისტერნებიდან მიწისქვეშა რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას.

აღნიშნულ ავტოგასამართ სადგურზე ნახშირწყალბადების გაფრქვევის რაოდენობაზე უფრო დეტალური ინფორმაცია წარდგენილ იქნება შესაბამის დეპარტამენტთან.

ტერიტორიაზე დამონტაჟებულია მეხამრიდი, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და ფარდულს თავისი მოქმედების არეალით. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას უნდა მოხდეს ავტოცისტერნის დაერთდება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს საწვავის მიღების პროცესი.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო წყალაღება და წყალარინება ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან. საკანალიზაციო წყლები ავტოგასამართ სადგურზე მოწყობილი წყალარინების სისტემით ხვდება ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაში. გამომდინარე იქიდან, რომ წყლის მოხმარება ხდება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნით, საკანალიზაციო წყლების დაბინძურება ნავთობპროდუქტებით შეუძლებელია. იმ შემთხვევაში თუ მოხდება დაღვრა ან მობეტონებული ტერიტორიის მორეცხვა, ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყალი ჩავა სპეციალურ მოწყობილ

სალექარში. ამის შემდეგ მისი შენახვა მოხდება კასრებში და გადაეცემა გარემოსდაცვით გადაწყვეტილების მქონე უფლებამოსილ პირს.

ავტოგასამართი სადგურზე სანიაღვრე სისტემა იქნება მოწესრიგებული. ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი შლამი ასევე შეინახება კასრებში და მართვისთვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე კომპანიას.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხმაურის დონის გავრცელება და გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი.

ავტოგასამართ სადგურზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილება მოსალოდნელი არ არის. ობიექტის პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა 4-6 ადამიანია.

აღნიშნული ობიექტის საქმიანობა დადებით გავლენას ახდენს არსებულ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ობიექტის მიწის სამუშაოების წარმოების დროს წარსულში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაფიქსირება არ მომხდარა და მისი მართვა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის უწყებისთვის რაიმე შეტყობინება საჭირო არ გამხდარა.

ავტოგასამართი სადგურის მიწის სამუშაოების წარმოებისას ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ მომხდარა. მოხსნის შემთხვევაში ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონმდებლობის დაცვით დასაწყობებული იქნებოდა და მოხდებოდა მისი დაცვა კანონით გათვალისიწინებული ნორმებით.

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის დროს არსებობს რისკი საწვავის დაღვრის, რასაც შესაძლოა სდევდეს ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება. მოხდება რისკების წინასწარი შეფასება და ინციდენტის მაქსიმალური პრევენცია. ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი, მავნე ნივთიერებების ემისიების გავლენას საწარმოს განლაგების ზონის გრუნტის წყლებზე და ნიადაგზე პრაქტიკულად ადგილი არ ექნება. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების ყველა ციკლის ფუნქციონირება - რეალიზაცია, არ წარმოქმნის გრუნტის წყლების დაბინძურების შესაძლებლობას საწარმოს გარე პერიმეტრზე და შესაბამისად არ არსებობს წინაპირობა გრუნტის წყლების და ნიადაგის დაბინძურების წარმოქმნის მიმართულებით, რადგან საწარმოო პროცესი იქნება ტერიტორიაზე, სადაც ნარჩენების დამუშავების უბნებს მოვაბეტონებთ და მოვაწყობთ წყალშემკრებ სისტემას.

ობიექტზე უსაფრთხოების მიზნით დაღვრის სპეციალური აღჭურვილობა განთავსდება. ეს შეიძლება იყოს აბსორბენტები ან/და ქვიშა. რომელიც გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ.

ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას შესაძლოა წარმოიქმნას სახიფათო ნარჩენი, როგორიცაა ნავთობით დაბინძურებული ტანისამოსი, აბსორბენტი, ხელსაწყოები და სხვა ნარჩენი. მოხდება მათი შენახვა სპეციალურ კასრში და შემდგომში დამუშავების/

განადგურების მიზნით გადაეცემა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე კომპანიას. ნარჩენების მართვა განხორციელდება შესაბამისი ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით.

ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენი კანონმდებლობის სრული დაცვით იქნება გატანილი. მუნიციპალური ნარჩენის გატანა მოხდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნარჩენების შეგროვება მოხდება სპეციალურ კონტეინერებში/სკიპებში.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური უზრუნველყოფილი იქნება სახანძრო ინვენტარით და საჭირო რაოდენობის პირველადი ქრობის საშუალებებით (ცეცხლმაქრებით). დამატებით, შესაძლებელია მოეწყოს ხანძრის აღმომჩენი სახანძრო სიგნალიზაციები, რომელიც ექვემდებარება პერიოდულ შემოწმებას.

აღნიშნული საწარმოო (ობიექტი) თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ მოახდენს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას. მისი ზემოქმედება გარემოს აგენტებზე მინიმალურია, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედებაც.

პატივისცემით,

გარემოსდაცვითი სპეციალისტი

გიორგი ბარძიმაშვილი